ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1453818

ნომერი: AR1246060

თარიღი : 22.08.2014

გაცემის თარიღი : 27.08.2014

გაცნობის თარიღი : 27.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ილია ვეკუა , N 51 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარი ჯავახიშვილი პ/ნ 01011079681
- თბილისი თელავის ქ. N 38

ორგანიზაცია:
- სს ხალიკ ბანკი საქართველო კოდი: 205 236 537

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არქიტექტურის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ფასადზე მოაწყოთ მხოლოდ ბანკის ლოგო და სახელწოდება, რაც შეეხება სარეკლამო ბანერს მისი მოწყობა და აღნიშნულით ფასადის გადატვირთვა მიუღებელია. ზემოაღნიშნულის შესაბამისად უნდა დააკორექტიროთ ფოტომონტაჟი და განახლებული მონტაჟი (მასალებისა და ზომების დატანით) ატვირთოთ შესაბამის გრაფაში.

ასევე გაცნობებთ, რომ "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება" გრაფაში უნდა ატვირთოთ ს.ს. "ხალიკ ბანკი"-ს გენ. დირექტორის მინდობილობა ან აღნიშნული პირი (ნიკოლოზ გეგუჩაძე) დაარეგისტრიროთ თანაგანმცხადებლის სახით.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.